პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ივლისი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 172 (14168)

გამარჯვებული

ჰიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. მეორე კვარტალის მაჩვენებლებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ გაიმარჯვა ლენინის ორდენოსანი ჰიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი ვ. სამხარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი პ. კაპანაძე). მას მიენიჭა საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი. ორჯონიკიძელებმა შეინარჩუნეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ხუთწლედი — ვადაგადაჭარბებულად

გორელ მეკონსერვეთა პასუხად

ქუთაისელთა გადაწყვეტილება

ქუთაისი (საკ. კორ.). ხუთწლედის მესამე წელს ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ ქვეყანას უნდა მისცეს 31 მილიონი ქილა კონსერვი, 12 მილიონით მეტი, ვიდრე შარშან.

ქუთაისელმა მეკონსერვეებმა გადამეტებით შეასრულეს მომდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება. კონსერვების გამოშვების გეგმა შესრულდა 105,7 პროცენტით, დავალების გადამეტებით უკვე ვამოშვებულია 218 ათასი მანეთის საერთო და 510 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, უმაღლესი ხარისხის კონსერვების დამზადების დავალება შესრულდა 111 პროცენტით. თუმცა ქარხანა მომდინარე წელს ზარალით მუშაობაზეა დაგეგმილი, მაგრამ წლის პირველ ნახევარში 141 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღეს.

ქარხნის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი გორელ მეკონსერვეთა თაოსნობას, ჩაება ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

გადასინჯეს და გამოინგარიშეს რა თავიანთი რეზერვები, ქუთაისელმა მეკონსერვეებმა გადაწყვიტეს:

კონსერვების გამოშვების თვიური გეგმა ადრე ნაკისრი 25 დეკემბრის ნაცვლად 20 დეკემბრისათვის შეასრულონ. **განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ასორტიმენტის** გაფართოებას, ხარისხისა **და** გარეგნული გაფორმების გაუმჯობესებას, მიაღწიონ იმას, რომ ქუთაისური კონსერვი საუკეთესო მსოფლიოს სტანდარტების დონეზე იდგეს. საამისოდ აითვისონ და წელს გამოუშვან 5 ახალი სახეობის კონსერვი. ხოლო დავალების გადამეტებით დაამზადონ 1 მილიონ ქილაზე მეტი უმაღლესი ხარისხის კონსერვი.

რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის ეჭვიორეობისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5 მილიონი ცალი კონსერვის თუნუქის ხუფი.

მოწინავე მუშებისა და ბრიგადებისათვის შემოღონ საპატიო წოდებები: „საუკეთესო მეკონსერვე“ და „უწუნოდ მომუშავე ბრიგადა“.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, ხოლო 180 ათასი მანეთით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

წარმოებაში დანერგონ 38 რაციონალიზატორული წინადადება და ამის შედეგად მიიღონ 45 ათასი მანეთი წლიური პირობითი ეკონომია.

გადაჭარბებით შეასრულონ კადრების მომზადებისა და გადამზადების დავალება, მოაწყონ ვეტერან მუშაკთა შეფობა ქარხანაში ახალმოსულებზე და მეორე პროფესია შეასწავლონ 140 კაცს. აამაღლონ წარმოების კულტურა და ესტეტიკა, მიაღწიონ უწუნო და ურეკლამაციო მუშაობას და იმას, რომ კიდევ უფრო გაუთქვამენ სახელი ქართული ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებს.

ქვეყნის ეკონომიური ძლიერება

ყოველი კალენდარული დღე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია კომუნიზმის მშენებლობაში, საბჭოთა ხალხი, თავისი ნაცადი ხელმძღვანელის — ლენინური კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ჩაბმულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საბრძოლო დეკნი — ხუთწლედი ვადამდე სულ უფრო რეალურად ისახავს ხორცს. ამაზე ნათლად მეტყველებს ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებული სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ცნობები სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ექვს თვეში რეალიზებულია ოთხ მილიარდამდე მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ეს ნაკარაულევი იყო, წარმოების მატებამ კი იმავე შარშანდელ პერიოდთან შედარებით თითქმის 9 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთლიანად ეს მატება ორწელიწადნახევარში უსწრებს ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

სასიხარულოა ის გარემოება, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა როგორც მთლიანად მრეწველობის, ისე მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა. ამ გრძნობას ის უფრო აძლიერებს, რომ საქართველოს მშრომელებმა საერთო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. წელს 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მრეწველობის პროდუქციის წარმოება 7 პროცენტით გაუზარდეთ. მნიშვნელოვნად გავადიდეთ ელექტროენერგიის, ფერადი მეტალურგიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, ქიმიური და ნავთობქიმიური, აგრეთვე მანქანათმშენებლობისა და ლითონგადამუშავების მრეწველობის და სხვა დარგების პროდუქციის გაზრდეა. საგრძნობლად გადიდდა სახალხო მოხმარების საგნების წარმოება.

სტატისტიკურ ცნობაში მოყვანილია არაერთი საინტერესო მონაცემი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში შეადგინა 4 პროცენტი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოგება საქართველოს სს რესპუბლიკაში გაიზარდა 15,2 პროცენტით, ხოლო მრეწველობაში 6,5 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები; შესრულდა საგაზაფხულო თესვის დასახული გეგმა. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულის, მრავალწლიანი საფარქვეშა ბალახის თესვის გეგმა. მნიშვნელოვნად გადიდდა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება, რამაც საშუალება მოგვცა გადაჭარბებით შეგვესრულებინა. მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული პროგრამის წარმატებანი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მასების ცხოვრების დონეზე. მშრომელთა რეალური შემოსავლისა და სხვადასხვა საკონსერვნაწვნის ზრდა ორწელიწადნახევარში აგრეთვე უსწრებს საგეგმო დავალებებს. მარტო წელს, ჩვენს დიად ქვეყანაში საეკსპლოატაციოდ გადაეცა ნახევარ მილიონზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა, სულ კი ხუთწლედის დამდეგიდან ახალმოსახლეობა გადაიხადა 24 მილიონამდე საბჭოთა ადამიანმა. აი როგორია თავდადებული შრომის ნაყოფი!

ამბობენ, სტატისტიკური ენა მშრალია. მაგრამ ამ ციფრებს უკან ზუსტად არის გადმოცემული ჩვენი საერთო შრომა. ამიტომ მისი შინაარსი სისხლხორცებულად უკავშირდება თვითეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს. სამომავლო პერიოდში თითქმის 7 პროცენტით გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 8 პროცენტით. მოსახლეობის მატერიალური შემოსავლის ზრდაზე უცილობლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1968 წლის პირველ ნახევარში მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 11 მილიონ მანეთამდე გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებაზე მეტყველებენ სტატისტიკურ ცნობებში მოყვანილი მნიშვნელოვანი ციფრები.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ შედეგებს, მაგრამ ამასთანავე უნდა ვხედავდეთ ჩვენს დიდ რეზერვებს, გადაუჭრელ პრობლემებსაც. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ თუმცა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, მაგრამ დასახულზე ნაკლებია გამოშვებული ფენერი, ცელულოზა, ქაღალდი, სინთეზური ფისებზე მერქნის ბურბუშელის ფილები, ბამბის ქსოვილები, ტრიკოტაჟის საცვალი და სხვ.

სკკპ XXIII ყრილობამ დასახა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ამოცანა. მისი წარმატებით განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიური რეფორმის დანერგვასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, წლის პირველი ნახევრის დამლევს საქართველოში დაგეგმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილია 800-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომლებიც მთელი სამრეწველო პროდუქციის 41 პროცენტს უშვებენ. ამ სისტემით მომუშავე საწარმოებმა 1967 წლის პირველ ნახევართან შედარებით პროდუქციის რეალიზაცია 8 პროცენტით გაზარდეს, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი — 4 პროცენტით.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფეხს იკიდებს დასავლეთიმპერიულ მეტალურგთა პატრიოტული თაოსნობა. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს ამ ინიციატივის საყოველთაოდ გავრცელება და მასში ჩაბმული საწარმოების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მსვლელობის კონტროლი და, თუ ეს საჭირო იქნება, საწარმოთა კოლექტივების ყოველმხრივი მხარდაჭერა.

მთელი ძალებით გავაძლიეროთ ბრძოლა წარმოების მაღალეფექტურობისათვის, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას, ახალ პრინციპებს გადაუშლის მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას.

დაჭარბებით სიძნელეებს!

215 000 ტონა ჩაის ნედლეული

ჩვენი მიმოხილვა

გვალვების გამო რესპუბლიკაში ჩაის ბუჩქის ვეგეტაცია შესუსტდა, ამიტომ სიძნელეებია ნედლეულის დამზადებაში. უკანასკნელ დღეებში ნალექები მოვიდა. ახლა ფოთოლი მასობრივად შემოდის. მეჩაიეებიც მის აღებას როდი აყოვნებენ. **მახარაძის** რაიონის მშრომელები, რომლებიც წელს საცვლად 39.230 ტონისა სახელმწიფოს 40 ათასი ტონა „მწვანე ოქროს“ ჩაბარებას ჰპირდებიან, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაძლიონ უამინდობით გამოწვეული სიძნელეებიდა სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. მახარაძელებმა 23 ივლისისათვის სეზონის დაწყებიდან მოკრიფეს 19.525 ტონა ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 49,8 პროცენტს შეადგენს.

დიდი რაოდენობით ამზადებს ფოთოლს **ზუგდიდის** რაიონი. მან გეგმით მოსაკრეფი აქვთ 27.195 ტონა ჩაი. უკვე მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 15.116 ტონა. ეს წლიური გეგმის 55,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო ივლისის გეგმის — 74,6 პროცენტს.

უამინდობით გამოწვეულ სიძნელეებს კარგად ძლევენ **ბათუმის** რაიონის მშრომელები, რომლებმაც მოკრიფეს 6.157 ტონა ჩაის ნედლეული. ეს კი ივლისის გეგმის 71,2 პროცენტია, ხოლო წლიურისა — 71,1 პროცენტი. ამ მხრივ წინ მიდის **ფალენჯიხის** რაიონი, რომელმაც ივლისის გეგმა 85,9 პროცენტით შეასრულა, წლიური — 61,8 პროცენტით. **გუდაუთის** რაიონმა ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა შეასრულა 82,6 პროცენტით, წლიური — 60,8, **გალის** — 70,5, წლიური — 58,8, **გულრიფშის** — 67,1, წლიური — 54,2, **ხობუმის** — 62,7, წლიური — 51,5, **ქობულეთის** — 68,1, წლიური — 60,7, **ქედის** — 70, წლიური — 51,4, **ლანჩხუთის** — 68,6, წლიური — 55,5, **გეგეჭკორის** — 62,8, წლიური — 50,1, **ჩხოროწყუს** — 70,7, წლიური — 53,3, **წყალტუბოს** — 83,4, წლიური — 61,7, **წულუკიძის** — 75,2, წლიური — 79,2, **ცხაკაიას** — 69,8, წლიური — 53,7, **აბაშის** — 73,6, წლიური — 52, **ხობის** — 75, წლიური — 46,6, **თერჯოლის** — 113,6, წლიური — 102, **ვანის** — 66,7, წლიური — 52,2, **ზესტაფონის** რაიონმა — 54,5, წლიური — 73,3, **ჭიათურამ** — 75,9, წლიური — 73,9 პროცენტი.

ფოთლის კრეფის ტემპი უნდა გააძლიერონ **ჩოხატაურის** რაიონის მშრომელებმა. მათ მოკრიფეს 2.906 ტონა ჩაი. ეს წლიური გეგმის 47,6 პროცენტია. ამ მხრივ მეტი უნდა იმუშაონ **სამტრედიის** რაიონმა და **ტყიბულმა.** სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 115.697 ტონა ჩაის ნედლეული, რაც ივლისის გეგმის 69,9 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლიურისა— 55,1 პროცენტს. მარშან ამ დროისათვის ივლისის გეგმა შესრულებული იყო 99,8 პროცენტით, წლიური — 76,4 პროცენტით.

როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 23 ივლისის ცნობიდან ჩანს, მეჩაიეობის რაიონებს მეტი მუშაობა მოუხდებათ იმისათვის, რომ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა დაძლიონ. ახლა ფოთოლი ყველგან შემოდის. ვკრიფოთ იგი ყოველგარ ამინდში. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავალება პირნათლად გავანაღოთ, სახელმწიფოს მივცეთ მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ნარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა მახარაძის რაიონის ნაგომრის კოლმეურნეობაში. სურათზე: (მარცხნივ) კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ვადაჭკორია და სახალხო კონტროლის საგუშაგოს უფროსი დ. სიხარულიძე ამოწმებენ მეჩაიეების ლ. მაღულარიასა და ლ. თოდრიას მიერ მოკრეფილ ფოთლის ხარისხს.

ფოტო ბ. ბოგოსიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბჭოთა ფიზიკულტურული მოძრაობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 24 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა მწვრთნელები, მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ფიზიკულტურული მუშაობის ორგანიზატორები, სპორტსმენები, მეცნიერები, სპორტული ნაგებობათა და სპორტული ინვენტარის საწარმოთა მუშაკები, საზოგადოებრივი აქტივისტები — სულ 498 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 49 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 172, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 135 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 142 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

მეუნარჯეი გაანძ

ასე უწოდებენ ზოგჯერ ლისაკოვსკის რკინის მაგნის უმდიდრეს საბადოს. და აი რატომ. მიწისქვეშა გრუნტის წყლებით გარემოცული საბადო თითქოს ცურავს მასში. მადანს რომ მიაღწიო, უნდა გადალახო ეს წყლის ბარიერი.

მაღაროელებმა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, რომელიც შენდება ლისაკოვსკის საბადოს ბაზაზე, დაიწყეს 12-კილომეტრიანი სამთო გვირაბის გაყვანა.

პირველ მადანს კომბინატი 1970 წელს გამოუშვებს. (საკ. კორ.).

30-ტონიანი „პერანგი“

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა სამრეწველო ნიმუში მანქანისა, რომელსაც შეუძლია ჩამოასხას დიდი ზომის ცილინდრული ნამზადები. მოსკოველებთან ერთად მის შექმნაზე მუშაობდნენ იერუსკის მძიმე ქაღალდსაკეთებელი მანქანების ქარხნის სპეციალისტები. ამ საწარმოს მეტალურგები ახალ აგრეგატებზე იღებდნენ მზა სხმულებს. ეგრეთ წოდებული „პერანგებისათვის“, რომლებიც ეცმევა ქაღალდსაკეთებელი მანქანების ლილვებს. ასეთი „პერანგები“ დაახლოებით 30 ტონაა, სიგრძე კი თითქმის 9 მეტრი. ადრე მათთვის 2-2,5-მეტრიან ნამზადებს ასხამდნენ ტრადიციული ტექნოლოგიით „მიწაში“, შემდეგ კი ხდებოდა სექციების შედუღება.

ახალი აგრეგატის მოქმედებას საფუძვლად უდევს ჩამოსხმის ცენტრდანული მეთოდის გამოყენება. ეს საწარმოს დაუზოგავინებს ასეული ათასობით მანეთს წელიწადში, მნიშვნელოვნად აამაღლებენებს წარმოების კულტურას. (საკ.).

ჩვენს დიად სამშობლოში

ბროშურა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმის მასალები“

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ივლისის პლენუმის მასალები. ბროშურაში დაბეჭდილია საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ვარშავის შეხვედრის შედეგების შესახებ“, შეხვედრაზე მიღებული მომძე პარტიათა წერილი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, აგრეთვე „პრავდის“ 1968 წლის 19 ივლისის მოწინავე „განვამტკიცოთ სოციალიზმისა და მშვიდობის პოზიციები“. (საკ.).



ასორმოცამდე მანქანა ამარებდა „სიმწიფის“ გამოცდას უკანასკნელ შვიდ წელიწადში სახელმწიფო სატრაქტორო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოსაცდელ სადგურზე. აქ, ოდესის ახლოს, ამოწმებენ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორებს, გამოცდის დროს ირკვევა ყველა ღირსება და სუსტი ადგილი.

• • •

სურათზე: ოდესის გამოსაცდელ სადგურზე წარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების მზიდი სისტემების გამოცდა სიმტკიცეზე.

ფოტო ე. ეტინგერისა (ახალი ამბების საგენტო)

დივიჩი (აზერბაიჯანის სსრ), 24 ივლისი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მებრძოლის გ. მ. მუსაბეკოვის სახლ-მუზეუმი გაიხსნა დღეს სოფელ პირველდილში.

სახლში, სადაც მუსაბეკოვი დაიბადა, აღდგენილია იმ წლების მორთულობა. აქ შეგროვილია ავეჯი, სოკახო ნივთები, წიგნები, რომლებიც მის ოჯახს ეკუთვნოდა. საარქივო დოკუმენტების პირები, გაზეთებისა და ჟურნალების ამონაწერები, ფოტოსურათები მოგვითხრობენ აზერბაიჯანელი ხალხის შესანიშნავი შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გ. მუსაბეკოვი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ჯერ კიდევ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფილტრეზე სწავლის დროს.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. მუსაბეკოვი შედის დროებითი რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში, ასრულებს სურსათის სახალხო კომისრის სამუშაოს, სათავეში უდგას რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის სახკომსაბჭოს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი მუშაობს მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალური აღმასკომის ერთ-ერთი თავმჯდომარის პოსტზე.

გ. მუსაბეკოვის სახელი ეწოდა ქუჩებსა და ახალ დასახლებას ბაქოში, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს.

რევოლუციონერის ხსოვნისათვის

ექვნიერული ფიგნები

□ „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია—საბჭოთა მეცნიერების შტაბი“, ასე ეწოდება წიგნს, რომელიც გამომცემლობა „ნაუკამ“ გამოუშვა. წიგნში დოკუმენტური მასალით ასახულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნაზეარი საუკუნის მრავალფეროვანი საქმიანობა. ნაჩვენებია, როგორ გადაიქცა იგი პატარა ორგანიზაციიდან უდიდეს სამეცნიერო-საკვლევ ცენტრად. (საკ.).

□ „ბუნება და საზოგადოება“—ეს კოლექტიური ნაშრომი, რომელიც მომზადეს ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ საკითხთა სამეცნიერო საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტებმა, გამოუშვა გამომცემლობა „ნაუკამ“. წიგნში ვრცელი მასალის საფუძველზე გამუქებულია ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედების მრავალი საკითხი. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისეთი პრობლემების შემუშავებას, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება, ქაღის გარდაქმნა. (საკ.).

ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო

ტაშკენტი. (საკ.). ამასწინათ ტაშკენტის საავტომობილო ქარხანამ კოლმეურნეობა „ლენინ უზბეკისტანს“ გადასცა მეასიათასე მისაბმელი.

მიწათმოქმედთა აზრით, ტაშკენტის ოთხტონიანი ტრაქტორის მისაბმელი საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. იგი 120-150 კილოგრამით უფრო მსუბუქია სხვა ქარხნების ამავე ტიპის მანქანებთან შედარებით. ავტომობილის საგულდაგულოდ დამუშავებამ და წყობამ საშუალება მისცა ქარხანას გაეზარდა მისაბმელის მუშაობის საგარანტიო ვადა 18-დან 24 თვემდე.

მანქანა ყველაზე იაფიც გამოდგა — იგი სხვა მისაბმელებზე 100-300 მანეთით ნაკლები ღირს.

ბუნებრივი რესურსების

გულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

სოფია. 24 ივლისი. (საკ.). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხარლამპი. ტრაიკოვმა ამ დღეებში მიიწვია ალბანეთის ელჩი დელო ბალილი და ბულგარეთის მთავრობის სახელით აცნობა, რომ ისეთი საქმიანობის გამო, რომელიც არღვევს საერთაშორისო ნორმებს და შეუთავსებელია დიპლომატიურ წარმომადგენლთა სტატუსთან, ელჩმა დ. ბალილომ, მეორე მდივანმა ნდრეკი რიზამ, აგრეთვე საელჩოს მოსამსახურეებმა ლუკან ტას

მ, ფოტო იონიმ, მალო ცენკამ და ბედრი მინგამ სამი დღის ვადაში უნდა დატოვონ ბულგარეთის ფარგლები.

ალბანეთის სოფიის საელჩოს წარმომადგენლებმა მკვეთრად გადაუხვიეს თავიანთ ოფიციალურ ფუნქციებს, ბოროტად გამოიყენეს სტუმართმოყვარეობა და მოაწყეს აქტიური ძირგამომთხრელი საქმიანობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც შეუთავსებელია არა მარტო ორი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთობასთან, არამედ აგრეთვე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ქცევის ნორმებთან.

ეს საქმიანობა იმით გამოიხატებოდა, რომ კონსპირაციული კავშირი ჰქონდათ ბულგარელ მოქალაქეებთან და აქეზებდნენ მათ ორგანიზებული ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების წინააღმდეგ, ავრცელებდნენ ციონისმწამებლურ პროპაგანდისტულ ლიტერატურას ბულგარეთის კომპარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებთანაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას მეგობრული სამოკავშირო ურთიერთობა აქვს, აგროვებდნენ ინფორმაციას, რათა ზიანი მიაყენებინათ ბულგარეთის სახელმწიფოს უშიშროებისათვის. ბულგარეთის ტერიტორიიდან ალბანეთის საელჩო მტრულ საქმიანობას უწევდა აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ალბანეთის საელჩოს მოსამსახურეთა ამ საქმიანობის შ. ნრ. არსებობს მრავალი და უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი, ხაზგასმულია შემდეგ ცნობაში. უდავოდ დადგენილია აგრეთვე, რომ ამ ძირგამომთხრელ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ელჩი დ. ბალილი, რომელმაც ფაქტიურად მოაწყო და ხელმძღვანელობდა საელჩოს დანარჩენ თანამშრომლთა საქმიანობას ამ მიმართულებით.

იძულებულია რა იხმაროს ეს ღონისძიებანი უცილობელი ფაქტების გამო, ბულგარეთის მთავრობა ამავე დროს ადასტურებს, რომ სურს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასთან ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

კაკანდრეუს განცხადება

ბონი, 24 ივლისი. (საკ.). სრულიად საბერძნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ანდრეას პაპანდრეუმ ამასთან დაკავშირებით, რომ საბჭოური ხუნტის მეთაურებმა ათენში გამოაქვეყნეს ეგრეთწოდებული „კონსტიტუციის“ პროექტი, განაცხადა: ეს პროექტი მიზნად ისახავს „კანონიერი ჩარჩოების შექმნას ტოტალური დიქტატორული რეჟიმის მიერ ბერძენი ხალხის მუდმივი დაკანონებისათვის“

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ იუწყება, ა. პაპანდრეუმ აღნიშნა, რომ საზღვარგარეთის მთავრობებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ იმედი აქვთ „დიქტატორული რეჟიმის თანდათანობით ლიბერალიზაციისა“, უნდა შეიგნონ, რომ ერთადერთი პასუხი ხუნტის მოქმედებაზე შეიძლება იყოს მხოლოდ მხარდაჭერა ყველა ღონისძიებისა, რომელთა მიზანია ხუნტის დამხობა.

ი. მაკარჯი აკრიტიკებს

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საკ.). სენატორმა მაკარტიმ გააკრიტიკა ჯონსონის მთავრობა, რომელიც, როგორც მან თქვა, პარიზის მოლაპარაკებაში არ სთავაზობს მეორე მხარეს „ეონივრულ პირობებს ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის“.

აქ გავრცელებულ განცხადებაში ვიეტნამის საკითხზე სენატორი მაკარტი, რომელიც ცდილობს დაასახელოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან, ხაზს უსვამს კომუნიკეს, რომელიც გამოქვეყნდა პრეზიდენტ ჯონსონისა და საგონის „პრეზიდენტ“ თხიეუს ჰონოლულუს შეხვედრის შემდეგ, „კვლავ ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არ სურს გადადგას საჭირო ნაბიჯი, რათა ბოლო მოუღოს ომს პოლიტიკური მოწესრიგების გზით“.

სენატორმა აღნიშნა: ამერიკელი ხალხის იმედი, რომ პარიზში ოფიციალური საუბრების დაწყების შემდეგ მიაღწევდნენ პროგრესს ვიეტნამის კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრაში, არ გამართლდა. ვიეტნამის ომი კვლავ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა 1968 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში, დასძინა ი. მაკარტიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტბიუროდ და პოლიტინფორმატორები

ამგზავნეს, ყოველ სიტყვას ორგვარი მთქმელი ჰყავსო. ერთნი იტყვიან სათქმელს, მაგრამ მთავარს მაინც ვერ გეუბნებიან, მოგიყვებიან ამბავს, მაგრამ ხშირად იგი მარტო მშრალ ნაამბობად რჩება... მეორენი კი თავიანთი საუბრით მთელი მოვლენების კურსში შეგიყვანენ, აგაწონებენ საქმისათვის საბრძოლველად, სინათლეს, სიცხადეს აძლევენ შენს შრომასა და ცხოვრებას.

სახელმწიფო, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ.

ბელადი ხაზს უსვამდა, რომ ჩვენ გვჭირდება სრული და სწორი ინფორმაცია.

სწორედ პოლიტიკური ინფორმაციის სრულყოფაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დროისა და მახების მოთხოვნებს, ადამიანთა აქტივობის ამაღლების საშუალებებზე გაამახვილა პარტიული ორგანიზაციების უურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმმა.

ამჟამად საბჭოთა ადამიანები ძალღონეს არ იშურებენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ დიდებული შრომის დღეებში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად და მიზანსწრაფულად მოვაწყობთ პოლიტიკური მუშაობას, როგორ გავაუმჯობესებთ და სრულყოფთ მის ფორმებსა და მეთოდებს.

რა თქმა უნდა, მასების მოთხოვნილება გაიზარდა. მათ აღარ აკმაყოფილებთ მარტოოდენ საგაზეთაცო საუბრები. ამიტომ ცხოვრებამ დააყენა მასობრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში ახალი კატეგორიის მუშაკის — პოლიტინფორმატორის ჩამბა.

იმისათვის, რომ ჩვენს საწარმოში — თბილისის პლატმასის ქარხანაში — შეგვქმნა ადამიანთა ინფორმირების მწყობრი სისტემა, მთავარი ყურადღება დაგუთმეთ პოლიტინფორმატორთა კადრების შერჩევას, შემდეგ კი მათს სწავლებას, მეთოდურ დაოსტატებას, მათს საქმიანობაზე კონტროლის დაწესებას.

ქარხანაში ახლა პოლიტინფორმატორად 25 ამხანაგი მუშაობს. ყველა მათგანს უმაღლესი და საშუალო განათლება, ამასთან საგაზეთაცო მუშაობის კარგი გამოცდილებაც აქვს. პარტიულმა ბიურომ პოლიტინფორმატორთა შერჩევისას გაითვალისწინა ეა ამ საქმეში პირველი რიგში ჩაება ხელმძღვანელი, პოლიტიკურად კარგად მომზადებული, ავტორიტეტიანი ამხანაგები. მათ შორის მართლაც არიან ელექტროსამსახურისა და ავტომატიკის საამქროს უფროსი ნ. კვაჭანტირაძე, საგეგმო განყოფილების უფროსი კ. არზუმანიანი, საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი ვართანოვი, დამმუშავებელი საამქროს უბნის უფროსი ვ. ლეფაკა და სხვები.

პოლიტინფორმატორთა ჯგუფები შექმნილი გვაქვს ზოგიერთ დიდ საამქროში, როგორიც არის საწნეხი და დამმუშავებელი საამქროები, ამასთან პოლიტინფორმატორები მიმაგრებული არიან ცალკეულ საწარმოო უბნებზე და მათს მუშაობას ხელმძღვანელობენ საამქროთა პარტბიუროების მდივნები.

იმ მიზნით, რომ პარტბიუროს გადადგილებოდა პოლიტინფორმატორების მუშაობისადმი კონტროლი, ქარხანაში შემოღებულ იქნა პოლიტინფორმაციის ჩატარების ერთიანი დღე. ასეთი დღე ეწყობა კვირაში ერთხელ, ყოველ სამშაბათს. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა დღეს, თუ ეს აუცილებელია, პოლიტინფორმაცია არ ჩავატაროთ.

პარტიული ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაფარეულის სურნელება

ეთერზეთების საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებით

თელავიდან, ალაზნის გაღმა, კაკალეთ-ონის მთების ძირას, ნაფარეულში ამ საოცდაათი წლის წინათ ბულგარელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ექვს ჰექტარზე გაუშენებიათ ყაზანლიკის ვარდის პლანტაცია. მაშინ მიღებულ ნედლეულს პრომიტიული წესით ამუშავებდნენ და იღებდნენ ძვირფას პროდუქციას — ვარდის ზეთს, რომელსაც მრეწველობაში დიდი გამოყენება აქვს.

ასე ჩაეყარა საფუძველი თელავის ეთერზეთების ქარხან-საბჭოთა მეურნეობას. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნაფარეულის ქარხანა-მეურნეობაში ბევრი ცვლილება დაიბადა და განხორციელდა.

ძველთაძველი აქ აღარაფერი არ არის. ძველი მხოლოდ ცაცხვისა და იფნის დაბუტული ხეივანია, რომელიც შესასვლელიდან იწყება და ქარხნის მთავარ კორპუსთან მთავრდება. ცაცხვისა და იფნის უზარმაზარ ხეთა ნახევარკილომეტრიანი ხეივნის მარჯვნივ და მარცხნივ ვარდის, რეპნისა და გერანის პლანტაციებია გაშენებული.

სურნელოვანი პლანტაციების მშრომელებმა ხუთწლედის მესამე წელი წარმატებით დაიწყეს. აგროწესების დაცვით შეასრულეს ყველა სამუშაო. ვარდის მოყვანის ოსტატებმა ნაცვლად 118 ტონისა 129 ტონა მაღალხარისხოვანი ნედლეული მიიღეს. აქ ხომ შეზობელ კოლმეურნეობებსაც მოაქვთ ნედლეული. სულ წელს ქარხანაში ნაცვლად 133 ტონისა უკვე 190 ტონა ვარდი გადამუშავდა.

სურნელოვანი ნედლეულის სიუხვე გაპირობა აგრეთვე სანიორის, ირანთნის, ფშავლის, ყარაჯლის, ჯუგაანის კოლმეურნეობების, ლალისყიერის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის მშრომელთა შემართებამ. უამინდობის, სეტყვის მიუხედავად მათ ხელი არ დაუკლიათ პლანტაციისათვის, და შედეგსაც ეხედავთ. ბონიშვნის ღირსია თელავის ავტოსატრანსპორტო კანტორის, ეგზაგროგიური ინსტიტუტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ენინდის საქსოვი ფაბრიკისა და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა მეგობრული დამოკიდებულება ნაფარეულელ მშრომელებთან, რომლებიც გულმხურვალე მოეკიდნენ ვარდის მკრეფავთა გასაჭირს და მათის გამუდმებულ ავდრებს ხელიდან გამოსტაცეს ათეულობით ცენტნერი ძვირფასი ნედლეული.

ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა წელს 982 ტონა გერანსა და 1.585 ტონა რეპანს გადამუშავებს. პლანტაციები შესანიშნავად არის მოვლილი. გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ნედლეულს მოულოდნ.

— სურნელოვან პლანტაციებში სასახელო შრომით გამოიჩინეს თავი ვარდის მკრეფავებმა დ. თიბილაშვილმა, მ. შავერდაშვილმა... რეპანისა და გერანის უხვ მოსავალს მოელიან ს. წვეროშვილი, ი. შავერდაშვილი და ბევრი სხვა, — ამბობს ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. დათუნაშვილი.

— ვარდის ნედლეულის გადამუშავებაზე თავი ისახელეს მეპარტე ელიო წოწკოლაურმა და ლაბორანტმა დარიკო მუსაშვილმა, — გვეუბნება მთავარი ინჟინერი ე. ჯაში.

წელს ქარხანა-საბჭოთა მეურნეობამ 961.000 მანეთის სარეალიზაციო პროდუქცია უნდა აწარმოოს და სახელმწიფოს 251 ათას მანეთ მოგებას მისცემს.

ხუთწლედის მესამე წელი დიდმნიშვნელოვანი წელია ეთერზეთების მწარმოებელთათვის. საქმე ის არის, რომ **სექტემბერში საქართველოში ეწყობა ეთერზეთების საერთაშორისო კონგრესი და ამ დარგის მრავალი ქვეყნის სპეციალისტი და მეცნიერი გაეცნობა თელაველთა საქმიანობას.**

თელავის ეთერზეთების ქარხან-საბჭოთა მეურნეობის ცენტრში ახლა შრომის ფრონტია. შესასვლელიდან მთავარ კორპუსამდე ქარხნის ყოველ კუნჭულში თითქმის ყველაფერი იცვლება. ქარხნის კორპუსებს ხარაჩოები ჩამოხსნეს, დანადგარების დასამონტაჟებლად მატანელი დიდი ამწეც აიღეს, მანქანა-დანადგარებს ღებავენ, ეზოში ასფალტს აგებენ.

ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის თელავის მეოთხე სამშენებლო სამმართველო აწარმოებს.

ქარხნის მშენებლობასა და ძველის რეკონსტრუქციაზე სულ 961 ათასი მანეთი უნდა დიხარჯოს ყველაფერი მზად უნდა იყოს ეთერზეთების საერთაშორისო კონგრესის გახსნამდე, — ამბობს სამმართველოს მმართველი ივ. ბეჟუაშვილი.

რა იგულისხმება ამ „ყველაფერში"? — ვეკითხებით ბიჟიოშვილს.

— ავიღოთ თუნდაც ქარხნის მთავარი კორპუსი. აქ ყველა სახის სამუშაოდ დამთავრებულია, დანადგარების გამოცდამაც კარგად ჩაიარა, — გვითხრა მან. — ვარდის გადასამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზი, რეპანისა და გერანის გადასამუშავებელი უწყვეტი მოქმედების აპარატები. რომელთა ავტორია ს. ფალავანდიშვილი, მზად არის და, როგორც ხედავთ, ამ დანადგარებს ვღებავთ. ეს სამუშაოც მალე დამთავრდება.

მწყობრში ჩადგა ვარდის ზეთის საექსტრაქციო სადგური, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქარხნის ძველ კორპუსს, სადაც მოეწყობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების შემკეთებელი სახელოსნო, სასაწყობო მეურნეობა და ავტოგარაჟი. მწყობრში ჩადგა აგრეთვე ელექტრომექანიკური, რეკონსტრუქცია გაუკეთდა საკვები მოწყობილობას. გარდა ამისა, აშენდა ადმინისტრაციული შენობა, მწყობრშია სამაზუთთ მეურნეობა. და ტექნიკური წყლის სატუმბავი სადგური. დამთავრდა ქარხნის საკანალიზაციო მეურნეობის მოწყობა.

ახლა მომდინარეობს ეზოს მოასფალტება. ქარხნის მთავარი შესასვლელის არქიტექტურული ანსამბლის მოპირკეთება, ხელოვნური ტბის მოწყობა, ყვავილარის გაშენების სამუშაოები.

— ქარხნის მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს მშენებელ-მონტაჟელებმა ვ. ბაბაევმა, ფუნგალმა ნ. მაზნურაძემ, ნ. თუშიშვილმა, ო. ჭანკაშვილმა... მექანიზატორებმა ბ. ბეგლარიმ, ბ. ესტატიშვილმა, მექანიკოსმა ა. მამალაშვილმა, ბეტონტაჟე ბ. ბეჟუაშვილმა — ამბობს სამუშაოთა მწარმოებელი ზ. გრიშიკაშვილი.

საერთოდ ამ ობიექტზე მშენებლობის წლიური გეგმა 107 პროცენტით შესრულდა. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გასაკეთებელი კი ჯერ კიდევ ბევრია. **მაგალითად, ცაცხვია და იფნის ნახევარკილომეტრიანი ძველთაძველი ხეივნის მარჯვნივ და მარცხნივ, მთელ სიგრძეზე** ბევრ ადგილზეა, ორივე მხარეს და თვით ხეივნის შუაზეც სატვირთო მანქანების მოძრაობისაგან ალარ ეტყობა, სად არის გზა და სად გაზონები. ხეივნის კეთილმოწყობა და გაზონების გამწვანება დავალებული აქვს „საქცხმაზეთების" ტრესტს. ტრესტის დეკორატორი ნ. ლომია გამწვანებასა და ხეივნის კეთილმოწყობას რაღაც არ ჩქარობს, არც ქარხნის შემოგარენის გამწვანებაში იგრძნობა ტემპი, კონგრესამდე კი არცთუ დიდი დროა დარჩენილი.

ქარხნის ცენტრალური მოედნის მარცხნივ კომფორტული ფანჯატური უნდა მოეწყოს. გვითხრეს, ელექტრომოძიცა გადასადგილებელი და აშენებას ვერ ვიწყებთო. ავტომატური ხახორის მშენებლობაც არ დამთავრებულა. მთის ძირას ქარხნის მთავარი კორპუსის გასწვრივ რამდენიმე ჰექტარზე დეკორატიული წყალსაცავი უნდა მოეწყოს. აქ მხოლოდ მიწის სამუშაოებია დაწყებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახათბურო მეურნეობის ორანჟერიებიც შესაკეთებელია, შიგ სარეველა ბალახია მოძალებული.

თუ ყოველივე ამას ინასაც დავუმატებთ, რომ ქარხან-საბჭოთა მეურნეობის მთავარი შესასვლელიც დასამთავრებელია, გამოდის, რომ **როგორც მშენებლებს, ისე ქარხანა-მეურნეობის ხელმძღვანელებს საზრუნავი დიდი აქვთ.**

ეთერზეთების საერთაშორისო კონგრესს დაწყებამდე დარჩენილ დროში მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა ტემპი გადაჭრით უნდა დიჩქარდეს.

ვ. ბოზალიშვილი,
ჯ. რჩეულიშვილი.

ნაფარეული, თელავის რაიონი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — თელავის ეთერზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის ნედლეულის გადასამუშავებელი მთავარი კორპუსი; ქვემოთ — კოკობატორების განუწყვეტელი მოქმედების ხაზი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნედლეულიდან ნედლეულამდე

ნედლეულიდან ნედლეულამდე

ბ. ლომაია.

● **ბაკურიანში 960 მოსწავლისათვის შენდება ახალი კაპიტალური სკოლის შენობა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბაგა-ბაღის მშენებლობა, იგი 280 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული, მესამე საშუალო სკოლას მიუშენდება 12 საკლასო ოთახი. ამგვარად, გაფართოვდება სხვა სკოლებიც.**

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● **ჩხოროწყუს** რაიონის სკოლებში გაჩაღებულია სასწავლო წლისათვის მზადება. დამკვრელურად მრომობენ ლესიჭინის საშუალო სკოლის ახალი ტიპური შენობის აგებაზე ცხაკაიას და კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. აქ 1968-69 სასწავლო წელს ლესიჭინელი მოსწავლეები სკოლის ახალი შენობის დიდ და ნათელ დარბაზებში იმეცადინებენ. ასევე იზიმებენ ახალი სასკოლო შენობის აგებას ხაბუმელი მშრომელები.

კ. ჟალიჩავა.

ვიდრე სექტემბრის ზარი დაირეკებოდეს

სასკოლო საკითხებზე

● **გეგეჭკორის** რაიონის სკოლები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით შეუდგნენ მზადებას 1968-1969 სასწავლო წლისათვის. წელს კაპიტალურად შეაკეთებენ 2 სკოლა-ინტერნატს, ერთ საბავშვო სახლს, 6 რვაწლიან სკოლას, 2 საბავშვო ბაღის შენობას. მიმდინარე რემონტი გაუკეთდება 58 სასკოლო შენობას.

საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე ბაღლინის და მეორე ხიმინოლოს რვაწლიანი სკოლების შენობები, დიდი ჭყონის საშუალო სკოლის სპორტდარბაზი. დაბა გეგეჭკორში აშენდება მასწავლებლთა ორბინიანი სახლი.

ბ. ლომაია.

● **ქალაქ ცხაკაიაში 960 მოსწავლისათვის შენდება ახალი კაპიტალური სკოლის შენობა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბაგა-ბაღის მშენებლობა, იგი 280 ბავშვისათვის არის გათვალისწინებული, მესამე საშუალო სკოლას მიუშენდება 12 საკლასო ოთახი. ამგვარად, გაფართოვდება სხვა სკოლებიც.**

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

● **ჩხოროწყუს** რაიონის სკოლებში გაჩაღებულია სასწავლო წლისათვის მზადება. დამკვრელურად მრომობენ ლესიჭინის საშუალო სკოლის ახალი ტიპური შენობის აგებაზე ცხაკაიას და კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. აქ 1968-69 სასწავლო წელს ლესიჭინელი მოსწავლეები სკოლის ახალი შენობის აგებას ხაბუმელი მშრომელები.

კ. ჟალიჩავა.

მკითხველთა წერილებიდან

□ **წითელწყაროს** რაიონის სოფელ არბოშიკში კავშირგაბმულობის რესპუბლიკური სამინისტროს სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ბრიგადამ ს. გოგიშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრა 600-ვატიანი რადიოკვანძის დამონტაჟება და მშენებლობა. იმავე ბრიგადამ დაამთავრა ავტომატური ტელეფონის 200-ნომრიანი ქსელის მშენებლობა.

ავტომატური ტელეფონების ქსელის მშენებლობა მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ ზემო მაჩხაანისა და ზემო ქედის ხუტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

გ. კაკალაშვილი.

□ **ზუგდიდის** გარეუბნის სამომხმარებლო მუშათა კოოპერატივის გამგეობამ ახალსოფლის ცენტრში ახალი კეთილმოწყობილი სასადილო-პავილიონი გახსნა. აქ მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ გემრიელი კერძები.

ბ. ალშიბაია.

□ **ფოსტალინი** ელენე სოლოპენკო ქალაქ ფოთის რკინიგზელების უბანს ემსახურება. მან მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს მუყაითი ადამიანი მკითხველებს დაუუგიანებლივ აწვდის ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა გზავნილებს.

ლ. სალაჯაია.

ნითელუბნელთა საძღვრავი

სამასზე მეტი კომლია გორის რაიონის სოფელ წითელუბანში. როგორც ხედავთ, სოფელი არც ისე პატარაა. მაგრამ მისი მცხოვრებლები მოკლებული არიან სოფლის ბევრ სიკეთეს.

მოგეხსენებათ, სოფლისათვის თავი და თავია კარგი გზა, ხოლო წითელუბანში რომ გზებია, ჩვენს მტერს; საბარგო ავტომანქანებსაც კი უჭირთ გავლა, ხოლო სამგზავრო ავტობუსი ამ გზებზე გავლას ვერ გაბედავს და არც არის დანიშნული.

შარშან ვიფიქრეთ დაიწყეს გზების შეკეთება, მოიტანეს და მთავარ შარაგზაზე დაყარეს ხრეში და ქვიშა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს და ახლა გზებზე კვლავ გაუვალი ტალახი და ორმოებია. ავტობუსს ვიღა დაეძებს, ქვეითად მოსიარულეებსაც უჭირთ გავლა.

მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სოფელს არა აქვს კლუბი, ეზვიათად, რომ გაიმართოს კონცერტი, უჩვენონ კინო.

სოფელში არ არის სამედიცინო პუნქტი და ასეთი უგზოობის პირობებში ძალიან უჭირთ ავადმყოფისათვის სახნავაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ბევრი სამდურავი გვაქვს სოფლის მაღაზიაზეც. საქონლისა და პროდუქტების ნაკლებობას თავი რომ დავანებოთ, მაღაზია დიდი ხანია არ შეკეთებულა და დანგრევის პირზეა.

ჩვენი სოფელი ხუთვალეთის საბჭოთა მეურნეობაში შედის. მაგრამ მეურნეობის მესვეურები სრულიადაც არ ზრუნავენ ჩვენზე.

ე. სოკაუროვი,
ლ. გუაცლოვი.

სიგნალები უკომენტაროდ

● **საქვეყნოდ** ცნობილია ქაიშის ბალნეოლოგიური კურორტის სამკურნალო წყლების სიკეთე.

ქაიშში სამკურნალოდ ჩამოსულთა ეერიანების ეიმეტები ურჩევენ დროგამშვებით კურორტ ანაკლიაში მიიღონ ზღვის აბაზანები. მაგრამ ქაიშიდან ანაკლიამდე სპეციალური ავტობუსი არ დადის. ავადმყოფეები დროულად ვერ ახერხებენ მგზავრობას. ერთვეთვალ მკურნალობის რეჟიმი.

საჭიროა ქაიშისა და ანაკლიის კურორტებს შუა სპეციალური ავტობუსის დანიშვნა.

ლ. გვასალია,
პენსიონერი.

● **ქვაციხე** დიდი და მოწინავე სოფელია ჭიათურაში. აქ 900-მდე კომლი ცხოვრობს. მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი სოფელი. მაგრამ ერთი გულდასაწყვეტი მაინც გვაქვს.

სოფლის ცენტრში გვქონდა ფურნე, რომლის დანგრევა გამოიწვია საშუალო სკოლის მშენებლობამ. მეორე წელია პურის საცხობი აღარა გვაქვს და მშრომელებს გამომცხვარი პურის საყიდლად 20 კილომეტრის გავლა უხდებათ. ეს მოკლენის და სამართლიან შეშფოთებას იწვევს. ისიც უნდა გითვალისწინონ, რომ სასოფლო საბჭოს ცენტრში არის საწარმო-დაწესებულებანი. განსაკუთრებით ყურადსაღებია სასოფლო საგზაფმყოფო, რომელსაც პურის მოტანა ჭიათურიდან უხდება. ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

პურის საცხობის აშენება ბევრჯერ ვთხოვეთ სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ. როდის აგებენებენ პურის საცხობს!

ბ. ფოლრაზიძე — აგრონომი, **ბ. ბიწაძე** — მასწავლებელი, **შ. ბაბეზარდაშვილი** — ბრიგადირი.

სარეკლამო ფოსტიდან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის საქმე. სახელმწიფო და მიწერილ მეურნეობებში გაიზარდა სასარგებლო ნადირ-ფრინველის რაოდენობა, გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი და მისი სატყეო მეურნეობები, საქართველოს მონადირეთა ჯავშრი და მონადირეთა საზოგადოებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო ჯერ კიდევ საკმარისად არ ებრძვიან სასარგებლო ნადირისა და ფრინველის ბრაკონიერობის ფანტებს, ხოლო ფეხბურთის ასს და აკადემიას, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან — სამონადირეო ინსპექციები.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ მთელი ტერიტორიაზე აკრძალა ზაფხულში ნადირობა. აკრძალულ პერიოდში მავნე მტაცებელი ნადირის რაოდენობის რეგულირება შეიძლება მათი მოპოვების გეგმის შესაბამისად მხოლოდ ნებართვებით, რომლებსაც იძლევიან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს, რაიონული რაიონული სახელმწიფო ინსპექციები.

ძმის გამო, რომ გარეული იხვი და სხვა მძლეველი ფრინველი ფრინველი შავი ზღვის სანაპიროზე პალიასტომის ტბაზე და მის მიდამოებში ზამთრობენ, მძლეველ ფრინველთა დასაცავად პალიასტომის ტბა ნაკრძალებად ერთი კილომეტრის რადიუსით 10 წლით გამოცხადდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის სამონადირეო აღკვეთილად. შესაბამის ორგანიზაციებს დაეკალთ დადგინონ აღკვეთილის საზღვრები და უზრუნველყონ ამ საჭირო ღონისძიებათა განხორციელება.

მეცნიერული ხასიათის ნადირობისათვის გადაწყვეტილია გაეცეს მხოლოდ ფასანი ყოლრებანი. მოწურილ თავისუფალ სავარგულებში ცხოველთა მოპოვების ფულების ღირებულება მთლიანად გადაერიცხება ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია დაწესდეს რესპუბლიკის ფაუნის დაცვის, მისი მნიშვნელობის, ბრაკონიერობაში დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს, ავტონომიურ ოლქის აღმასკომებს, ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯავშრების, ბრაკონიერობის ფანტების, ბოლნისის, ხობის, ვანისა და სხვა რაიონების მონადირეთა საზოგადოებები არ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს მეწერილ სამონადირეო მეურნეობებში ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, ეროვნული ეკონომიკის, ბრაკონიერობის, ადამიანთა ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ბრაკონიერობის ფანტებს ეფექტიანად ებრძვიან. ეს ფანტები

საერთაშორისო სმოვრება

ქრონიკა • პროგლემები

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

მორიგი საუბარი პარიზში

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო კონფერენციების სახლში დაიწყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მორიგი ოფიციალური საუბარი.

კვლავ ძველი კურსით

ვაშინგტონი, 24 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა განაცხადა, რომ „ამ პოლიტიკური წლის ზემოქმედებისა და დაძაბულობის მიუხედავად" განაგრძობს ახლანდელ კურსს ვიეტნამის ომში.

გამოვიდა რა გუშინ ქ. ცინციანატში (ოჰაიოს შტატი) ამერიკის შტატების გუბერნატორთა კონფერენციაზე, ჯონსონმა გაიმეორა ძველი მტკიცება, რომ ვიეტნამში ომის შეწყვეტას თითქოს ხელს უშლიდეს „მოწინააღმდეგის შეურიგებლობა".

ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირველი საჯარო გამოსვლა მას შემდეგ, რაც ჰონოლულუში ეთათბირა საიგონის მარიონეტული რეჟიმის „პრეზიდენტ" თხიეუს. ეს გამოსვლა ადასტურებს ჰონოლულუში მიღებულ გადაწყვეტილებას განაგრძონ შეიარაღებული აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვა.

ბონის შენიღბული დივერსია

ბონი, 24 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. სერვი იუწყება: „ჩაურევლობის" ნიღბით ბონი კვლავ აჩაღებს იდეოლოგიურ დივერსიას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გავლენა რომ მოახდინოს მოვლენათა განვითარებაზე ამ ქვეყანაში, ბონმა მობილიზაცია უყო პროპაგანდის ყველა საშუალებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალების მხარდასაჭერად. პრესა, რადიო, ტელევიზია უხეშად ამახინჯებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ვარშავის შეხვედრის შედეგებს, ცდილობენ შეული ჩამოაყალონ ჩეხოსლოვაკიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის,

ამ იდეოლოგიურ დივერსიაში განსაკუთრებული როლი აქვს დათმობილი დასავლეთ გერმანიის რადიო'ადგურების „დოიჩე ველეს" („გერმანული ტალღა") და „დოიჩლანდფუნკის" გადაცემებს ჩეხოსლოვაკიისათვის. გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეს" სიტყვით, ამ რადიოსადგურებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს ბადაცემათა, კერძოდ ჩეხოსლოვაკიისათვის განკუთვნილ გადაცემათა მოცულობა.

ბონის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ურჩიეს დასავლეთგერმანელ კომენტატორებს „თავშეკავება გამოჩენონ", რათა მთლიანად არ გამოაშკარონ თავი, როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალების სულისჩამდგმელებმა. ბონთან დაახლოებული ნახევრად ოფიციოზური „ფრანკფურტერ ალგემაინე" მოწინავე სტატიაში ურჩევდა: „იქ, სადაც საჭიროა დახმარება (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალებისათვის — რედ. შენიშვნა), ეს დახმარება უნდა გაგუწიოთ რაც შეიძლება შეუმჩნევლად".

ამავე მიზნით ბონელი პროპაგანდისტები ახლა „სოციალიზმის მეგობართა" სამოსელით „გვევლინებიან", იმას, ვინც ამ დღეებში კითხულობს ჩვენი პრესის ცნობებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ, — წერს პროგრესული პრესბიულეტენი „ბონერ კორესპონდენციი", რომელიც ბონში გამოდის, — შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გაზეთების — დასავლეთ გერმანიის მსხვილი კაპიტალის რუპორების რედაქციებში მხოლოდ სოციალიზმის მეგობრები სხედან".

„სწორედ ის წრეები, — განაგრძობს პრეს-ბიულეტენი, — რომლებიც ჯიუტად უარს ამბობენ იმითავითვე ძალდაკარგულად გამოაცხადონ მიუნხენის შეთანხმება, ისინი, ვინც უარს ამბობს საბოლოო საზღვრებად ცნოს ომისშემდგომი საზღვრები ევროპაში და ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა, სწორედ ისინი ასაღებენ თავს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მეგობრებად". „უსაზღვროდ გულუბრყვილო ან ანტიკომუნიზმით დაბრმავებული უნდა იყო, — ხაზს უსვამს „ბონერ კორესპონდენციი", — რომ ეს დაიჯერო".

ახალი მეკობრული თავდასხმა

ჰანოი, 24 ივლისი. (საკდესი). 11 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ კვლავ თავს დაესხა ლაოსის ტერიტორიას. ქალაქ სამ-ნეიის დასავლეთით 20 კილომეტრზე მდებარე სოფელ ნახენგის დაბომბვის შედეგად დაზიანდა ტაძარი და დაჭრილია 38 მშვიდობიანი მცხოვრები და დანგრეულია 31 საცხოვრებელი სახლი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმიწებს კაოსან პატეტ-ლაოს საააგენტოს ცნობას.

ნეო ლაო ხაკ სატის შეიარაღებული ძალების ქვეანაყოფებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი. ამრიგად, ლაოსში ჩამოგდებულ ამერიკელ თვითმფრინავთა რიცხვი 816-მდე გაიზარდა.

ფეისალ აშ-შააბის განცხადება

ადენი, 24 ივლისი. (საკდესი). ადენის ტელევიზიით გამოვიდა სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ლიმასკომის წევრი ფეისალ აშ-შააბი. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა შეიარაღებრონ ქვეყნის მთელი შინაგანი რესურსები ეკონომიური სიძნელეთა დასაძლევად.

ფეისალ აშ-შააბმა აღნიშნა, რომ უნდა განვითარდეს ადგილობრივი მრეწველობა და მხარი დაუჭიროს ამ საქონლის იმპორტის შეწყვეტის წინადადებას, რომელსაც აქ აწარმოებენ, ან უნდა დაწესდეს მაღალი საბაჟო გადასახადები შემოტანილ საქონელზეო.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა შეიზღუდოს იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც ადენში სოფლიდან ჩამოდიან, რადგან ეს ადიდებს უმუშევრობის დედაქალაქში.

ჰ. ჰემფრის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 24 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტობის ერთ-ერთმა მთავარმა პრეტენდენტმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ჰემფრიმ გამართა პირველი ოფიციალური პრეს-კონფერენცია წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმის დროიდან.

იმ მრავალ კითხვაზე, თუ როგორია მისი პოზიცია ვიეტნამის პრობლემის შესახებ, ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ საკითხზე განცხადებას გააკეთებს უახლოეს 10 დღის განმავლობაში.

კითხვაზე, აპირებს თუ არა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში სენატორ ედვარდ კენედისთან ერთად ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატის პოსტზე, ჰემფრიმ განაცხადა, რომ „ეს უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია თვით ე. კენედის შეხედულებებსა და სურვილზე".

შენდეგა 17 რაკეტმზიდი

ბონი, 23 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბალტიის ზღვაზე დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარაკეტო ძალერების ზრდას. როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" წერს, 1970 წლისათვის ამ ფლოტის შემადგენლობაში იმოქმედებს რაკეტიანი იარაღით აღჭურვილი 17 ახალი საბრძოლო ერთეული: სამი საესკადრო ნაღმოსანი, ოთხი ფრეგატი, დაათი ტორპედიანი კატერი. ისინი შეიარაღებული იქნებიან „ტარტარის" ტიპის რაკეტების მოდერნიზებული ვარიანტებით, მართული ტორპედებითა და ავტომატური ზარბაზნებით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალ ხომალდებს აპროექტებს „სამხედრო-საზღვაო ტექნიკის დაგეგმვის ჯგუფი", რომელიც ჰამბურგში იმყოფება. ამ ჯგუფში გაერთიანებულია დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი გემთმშენებელი და ელექტროტექნიკური ფირმები.

ბონის შენიღბული დივერსია

ბონი, 24 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. სერვი იუწყება: „ჩაურევლობის" ნიღბით ბონი კვლავ აჩაღებს იდეოლოგიურ დივერსიას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გავლენა რომ მოახდინოს მოვლენათა განვითარებაზე ამ ქვეყანაში, ბონმა მობილიზაცია უყო პროპაგანდის ყველა საშუალებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალების მხარდასაჭერად. პრესა, რადიო, ტელევიზია უხეშად ამახინჯებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა ვარშავის შეხვედრის შედეგებს, ცდილობენ შეული ჩამოაყალონ ჩეხოსლოვაკიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის,

ამ იდეოლოგიურ დივერსიაში განსაკუთრებული როლი აქვს დათმობილი დასავლეთ გერმანიის რადიო'ადგურების „დოიჩე ველეს" („გერმანული ტალღა") და „დოიჩლანდფუნკის" გადაცემებს ჩეხოსლოვაკიისათვის. გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემაინეს" სიტყვით, ამ რადიოსადგურებმა მნიშვნელოვნად გააფართოეს გადაცემათა, კერძოდ ჩეხოსლოვაკიისათვის განკუთვნილ გადაცემათა მოცულობა.

ბონის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ურჩიეს დასავლეთგერმანელ კომენტატორებს „თავშეკავება გამოჩენონ", რათა მთლიანად არ გამოაშკარონ თავი, როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალების სულისჩამდგმელებმა. ბონთან დაახლოებული ნახევრად ოფიციოზური „ფრანკფურტერ ალგემაინე" მოწინავე სტატიაში ურჩევდა: „იქ, სადაც საჭიროა დახმარება (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ანტისოციალისტური ძალებისათვის — რედ. შენიშვნა), ეს დახმარება უნდა გაგუწიოთ რაც შეიძლება შეუმჩნევლად".

ამავე მიზნით ბონელი პროპაგანდისტები ახლა „სოციალიზმის მეგობართა" სამოსელით „გვევლინებიან", იმას, ვინც ამ დღეებში კითხულობს ჩვენი პრესის ცნობებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ, — წერს პროგრესული პრესბიულეტენი „ბონერ კორესპონდენციი", რომელიც ბონში გამოდის, — შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გაზეთების — დასავლეთ გერმანიის მსხვილი კაპიტალის რუპორების რედაქციებში მხოლოდ სოციალიზმის მეგობრები სხედან".

„სწორედ ის წრეები, — განაგრძობს პრეს-ბიულეტენი, — რომლებიც ჯიუტად უარს ამბობენ იმითავითვე ძალდაკარგულად გამოაცხადონ მიუნხენის შეთანხმება, ისინი, ვინც უარს ამბობს საბოლოო საზღვრებად ცნოს ომისშემდგომი საზღვრები ევროპაში და ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა, სწორედ ისინი ასაღებენ თავს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მეგობრებად". „უსაზღვროდ გულუბრყვილო ან ანტიკომუნიზმით დაბრმავებული უნდა იყო, — ხაზს უსვამს „ბონერ კორესპონდენციი", — რომ ეს დაიჯერო".

ფაქტები

● ალჟირი, 23 ივლისი. (საკდესი). პალესტინელი პარტიზანთა ჯგუფმა, რომლებიც მგზავრთა შორის იყვნენ, წუხელ ხელთ იგდო თვითმფრინავი „ბოინგ-707", რომელიც ეკუთვნის ისრაელის ავიაკომპანია „ელ-ალს", და აიძულა ხომალდის მეთაური დამჭდარიყო ალჟირის დედაქალაქის დარ-ელბეიდის აეროდრომზე.

როგორც ალჟირის პრესის საააგენტო გვატყობინებს, თვითმფრინავი იყო ჩვეულებრივ რეისში — რომი-ტელ-ავივი.

● კაირო, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს 1952 წლის რევოლუციის 16 წლისთავის დღეს კაიროს უნივერსიტეტის შენობაში მუშაობა დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ — არაბთა სოციალისტური კავშირის საერთო ეროვნულმა კონგრესმა.

საერთო ეროვნული კონგრესის დელეგატები შეიდგნენ არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის არჩევას. არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. იგი აირჩიეს აგრეთვე მიმდინარე სესიის თავმჯდომარედ.

წყალდიდობა დასავლეთ ბენგალიაში

დელი, 24 ივლისი. (საკდესი). ოთხ მილიონამდე კაცი დაეზარალა წყალდიდობამ ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატში.

უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების თანახმად, იუწყება ბაზეთი „ტრიბუნა", წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 12 კაცი, დაიგმა 42 ათასი სახლი, მნიშვნელოვნად გაფუჭდა მოსავალი.

ახალი ორლეანის სასამართლოს გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. (საკდესი). ახალი ორლეანის (ლუიზიანის შტატი) ფედერალურმა საოლქო სასამართლომ უარყო დღეს ახალორლეანელი ბიზნესმენის კლეი შოუს დამცველთა სარჩელი, რომელსაც პროკურორი ჯარისონი ბრალს დებს, რომ მონაწილეობდა შეთქმულებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის მოკვლის მიზნით.

შოუს ადვოკატები ცდილობდნენ, რომ ფედერალურ სასამართლოს შეეწყვიტა შოუს სასამართლო დევნა, რომელიც აღძრა ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ ჯარისონმა, და დაეკანონებინა ლუიზიანის შტატის სასამართლო ორგანოებისათვის მტკიცედ დაყრდნობოდნენ უორენის კომისიის დასკვნებს.

გასული წლის გაზაფხულზე კლეი შოუს საქმის წინასწარი განხილვის დროს ახალი ორლეანის საოლქო სასამართლომ უარი თქვა მიეღო უორენის კომისიის დასკვნები იმის შესახებ, რომ ჯონ კენედის მკვლელობა მარტო ოსვალდმა ჩაიდინა. მაშინ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ჯარისონს აქვს საკმაო საფუძველი, რათა აღძრას სარჩელი შოუს წინააღმდეგ, როგორც შეთქმულების თანამონაწილისა.

ამას მოპყვა პრესასა და ტელევიზიაში ჯარისონის დევნა, რაც ამა წლის მაისის დამლევს დამთავრდა ფედერალური სასამართლოს დადგენილებით შეეწყვიტა გაურკვეველი დროით სასამართლო პროცესი კლეი შოუს საქმის გამო

ფედერალური საოლქო სასამართლოს დღეგანდელი გადაწყვეტილება უფლებას იძლევა დაინიშნოს შოუს გასამართლების ახალი თარიღი.

ახალი რეჟიმის ჭრილი

კაირო, 23 ივლისი. (საკდესი). 17 ივლისს გადატრიალება ერაყში გამოიწვია იმან, რომ საჭიროა იყო საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა, ქურთთა პრობლემის გადაჭრა, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეროვნული გაერთიანობისა და ქვეყნის რესურსების ფლანგვის შეწყვეტა, „განაცხადა გაზეთ „ალ გუმჰურიის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ერაყის პრეზიდენტმა ბაჰრმ.

პრეზიდენტმა ბაჰრმა აღნიშნა, რომ ერაყის ახალ რეჟიმს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გადაჭრას ქურთთა პრობლემა. ახლანდელი რეჟიმის წარმომადგენლები, თქვა მან, ჯერ კიდევ გადატრიალებამდე, შეხვდნენ ქურთთა ლიდერებს და მათთან ერთად განიხილეს ეს საკითხი.

ბაჰრმა უარყო უცხოეთის საგენტოთა ცნობები, თითქოს ერაყისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობა გამწვავებულიყოს, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში შემდგომშიც განვითარდება და განმტკიცდება.

ამერიკის შეერთებული შტატები. ოფიციალური სტატისტიკით იმ ორი მილიონზე შაშხანისა და სხვა სასროლი იარაღის დიდი ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად იყიდება ამერიკაში, პოტენციურ ბოროტმოქმედთა, ფსიქიურად არანორმალური ადამიანების, მძარცველებისა, ქრონიკული ლოთებისა და არასრულწლოვანი დამნაშავეების ხელში ხვდება. იარაღის თავისუფალი გაყიდვა და დანაშაულობათა ზრდა შეერთებული შტატების ტრაგედიად იქცა. სენატორ რობერტ კენედის მოკვლის შემდეგ განვლილი ერთი თვის მანძილზე სან-ფრანცისკოს პოლიციამ შოქალაქეთაგან 1072 ერთეული იარაღი მოაგროვა.

ხურათზე: პოლიციელები ათვალიერებენ შეგროვებულ იარაღს.

ტელეფოტო აპ-საკდესისა.

ღია წერილი

ჩეხოსლოვაკიელი ისტორიკოსისა ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა მინისტრს იოზეფ პაველს

გულგარული გაზეთის „ოტეჩესტვენ ფრონტის" რედაქციაში შემოვიდა ჩეხოსლოვაკიელი ისტორიკოსის — მეცნიერი მუშაკის ღია წერილი, მიმართული ჩეხოსლოვაკიის „სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის იოზეფ პაველისადმი, რაც 21 ივლისს გამოქვეყნდა. წერილში მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ იოზეფ პაველი უშუალოდ მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში 50-იან წლებში კანონის დარღვევათა ჩადენაში, როგორც მაშინ არსებული უშიშროების კომისიის წევრი. ეს კომისია წყვეტდა საკითხებს სასჯელის ზომების შესახებ. მათ შორის დაპატიმრებული პირებისათვის სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა მანამდე, სანამ სასამართლო იტყოდა თავის სიტყვას. მოელი რიგი ასეთი პირები შემდეგში რეაბილიტირებულ იქნენ.

წერილის ავტორი, არ იუწყება რა თავის სახელს, სთხოვს რედაქციას გამოაქვეყნოს წერილი, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ იგი ჩეხოსლოვაკიაში გამოქვეყნდება.

„ბატონო მინისტრო პაველ, თქვენ ერთ-ერთი იმათგანი იყავით, ვინც უკანონოდ და ადამიანურ ღირებულებებს სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ. ამ ცოტა ხნის წინათ ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამ საჯაროდ მოახდინა ამ პირთა ჯგუფის რეაბილიტაცია, რომელნიც უფრო ადრე რეაბილიტირებულ იქნენ სასამართლოს მიერ. ორმოცდათიათან წლებში ამ ჯგუფის წევრებს უკანონოდ მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა მნიშვნელოვანი ვადებით. ამ ჯგუფს „დირექტორია" ეწოდებოდა. ამ გადაცემის შემდეგ, რომელიც ტელევიზიამ აჩვენა ამისათვის, რომ დაერწმუნებინა მცხოვრებნი იმაში, რომ ასეთი ტრაგედიები არასოდეს ალარ გამეორდება, გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა მინისტრი პაველი. თავის გამოსვლაში პაველმა დაამო პროცესის ინიციატორები და ორმოცდაათიანი წლების ამბები. მან აგრეთვე გაიმეორა „დაპირება, რომ ასეთი ამბები არასოდეს ალარ გამეორდება. ჩემს თვალებს ვერ უჯერებდი. რამდენი ცინიზმი უნდა ჰქონდეს ადამიანს ასეთი გამოსვლებისათვის! მე გავიხსენე 1948-1950 წლების დოკუმენტები, რომლებიც წინათ მინახავს.

ამის მეორე დღეს შევხვდი ჩემს მეგობარს, და რამდენიმე დღის შემდეგ ჩემ წინ მაგიდაზე იდო ჩანაწერები, რომლებიც გაკეთებულია ეგრეთწოდებული უშიშროების საკითხთა „იქესეულის" მიერ. არა, არ შევმცდარვარ. გკითხულობ: „ოქმი სახელმწიფო უშიშროების კოლეგიის სხდომისა, რომელიც გაიმართა 1950 წლის 1 აპრილს ნოსეკის, პაველის, შვაბისა და ზგეოდსკის მონაწილეობით" (ნოსეკი — ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, პაველი — მისი მოადგილე). ამ პირებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები: „5 ეგრეთწოდებული „დირექტორიის" ჯგუფის პროცესის საკითხზე მინისტრი გამოვა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლების წინაშე, რომლებიც ამზადებენ ამ პროცესს. გადმოსვლა შედგება ოუნის საპყრობილეში (1950 წლის 7 აპრილს)".

როგორც შეიტყეს, ეს გამოსვლა საჭირო იყო იმისთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო უშიშროების გამომძიებლები პროცესს უნდობლობით ეკიდებოდნენ და წინადადებას იძლევიდნენ გაეთავისუფლებინათ ბრალდებულები. ეი იგი, ნამდვილი დამნაშავე, რომელმაც ბრალი დასდო ამ საშინელი თამაშის ინსცენირება. ტელევიზიაში რომ გამოვიდა, ტურდი გაპყვიროდა: „დიეტრიეი ტურდი!", ეფიერცალა ეგრეთწოდებული „იქესეულის" ამ საშინელ ჩანაწერებს, და ჩემს წინაშეა შემდეგი ვვარები: ნოსეკი, პაველი, შვაბი, ზგეოდსკი, ვენიჩკა, რეიხი, პოკორნი, ვიშეოვსკი და სხვები.

პაველის ვვარი თვითეულ დოკუმენტზეა. პაველი მონაწილეობას იღებდა თვითეულ საქმეში. მას გადასცემდნენ ყოველი ჩანაწერის პირს, და იგი გადაწყვეტილებას იღებდა „იქესეულის" ყოველ სხდომაზე. ზოგიერთი მსჯავრდადებული ცოცხალი ალარ არის. დაპატიმრებულთა ბედს კომისიის წევრები წყვეტდნენ. ეს პირდაპირ საშინელია. სასამართლო წინასწარ იღებდა სახელმწიფო უშიშროების საკითხთა „იქესეულისაგან" მითითებას იმის შესახებ თუ ვისთვის უნდა მიესაჯა სიკვდილი. პაველი იყო იმათ შორის, ვინც იღებდა ამ უკანონო გადაწყვეტილებებს. ზეზერკლავს საჭმელებს, სადაც ჩემს ყურადღებას ვანსაკუთრებით იპყრობენ მატუშის, შატანას, სტეფანოვას, ბრეის, პეტელიეის, ჩერნის ვვარები.

პირველიდან სტრიქონებიდან ცხადი ხდება, რომ სასჯელის ზომები მეტისმეტად მაღალი იყო. გარდა ამისა, საქმიდან ეტყობილობ, რომ წინათ ჩერნი, „ბრასს საპყრობილეში რომ იყო, მსჯავრდადებულ იქნა ყოფილ გენერალ ალენ ალენ ანონუშიკი ერთად იმის გამო, რომ შეეთანხმება საპყრობილის დაკვის მუშაკს იარაღსა და გაქცეულიყვნენ საპყრობილიდან დასავლეთ გერმანიაში, საიდანაც უნდოდათ განეგრძოთ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა". რამდენადაც მე ვიცი, გენერალ ალენ ანონუშიკი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით საკუთარი რეაბილიტირებულ იქნა. ცხადია, რომ ბრეი, ჩერნი და პეტელიეიც, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ, ანალოგიურ რეაბილიტირებულ იქნებიან. როგორ შეიგრძნო თქვენ, ბატონო მინისტრო, მიეგიოთ ასეთი გადაწყვეტილებანი? ნუთუ სინდისი არ გიწუხებთ?

და ალალ ჩანაწერი კომისიის 1950 წლის 17 აპრილს შემდგარი სხდომისა. მეორე გვერდზე მე-3 პუნქტით ჩაწერილია: „ლონისძიებებზე ლიბლას შვილის მიმართ. ლოანსკიმ თანხმობა გამოთქვა ამაზე, რომ ლიბლას შვილი საზღვარგარეთ არ გაეშვათ, და წინადადება წამოაყენა განეხილათ საკითხი ლიბლას ქოლის განთავისუფლების და მისთვის პროლის გარეთ პატარა ბინის მიცემის შესახებ იმ პირობით, თუ იგი არ იმუშამდგომლებს თავისი ქმრის სასარგებლოდ. ამავე დროს სლანსკიმ რეკომენდაცია მისცა განეხილათ. ლენკა ნოვაკის საკითხი". (წინანდელი ჩანაწერები. სამწუხაროდ, არ მინახავს, მაგრამ იქნებიანაც, რასაც გეიტყვანი, ცხადია, რომ გადაწყვეტილება ლიბლას დაპატიმრების შესახებ თქვენ მიიღეთ, ბატონო მინისტრო). ამავე გვერდზე 1950 წლის 17 აპრილის მე-5/1 პუნქტით ჩაწერილია: „„დირექტორიის" საქმის გამო პროცესის შესახებ". 1 მაისის ერთი კვირის შემდეგ მოწვეულ სხდომაზე „დირექტორიის" საქმეზე ანსაკუთრებით ბატონშის, შატანას, სტეფანოვას, ბრეის, პეტელიეის, ჩერნის ვვარები.

პირველიდან სტრიქონებიდან ცხადი ხდება, რომ სასჯელის ზომები მეტისმეტად მაღალი იყო. გარდა ამისა, საქმიდან ეტყობილობ, რომ წინათ ჩერნი, „ბრასს საპყრობილეში რომ იყო, მსჯავრდადებულ იქნა ყოფილ გენერალ ალენ ანონუშიკი ერთად იმის გამო, რომ შეეთანხმება საპყრობილის დაკვის მუშაკს იარაღსა და გაქცეულიყვნენ საპყრობილიდან დასავლეთ გერმანიაში, საიდანაც უნდოდათ განეგრძოთ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა". რამდენადაც მე ვიცი, გენერალ ალენ ანონუშიკი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით საკუთარი რეაბილიტირებულ იქნა. ცხადია, რომ ბრეი, ჩერნი და პეტელიეიც, რომლებსაც სიკვდილი მიესაჯათ, ანალოგიურ რეაბილიტირებულ იქნებიან. რა-გორ შეგიძლოთ თქვენ, ბატონო მინისტრო, მიეგიოთ ასეთი გადაწყვეტილებანი? ნუთუ სინდისი არ გიწუხებთ?

და ალალ ჩანაწერი კომისიის 1950 წლის 17 აპრილს შემდგარი სხდომისა. მეორე გვერდზე მე-3 პუნქტით ჩაწერილია: „ღონისძიებებზე ლიბლას შვილის მიმართ. ლოანსკიმ თანხმობა გამოთქვა იმაზე, რომ ლიბლას შვილი საზღვარგარეთ არ გაეშვათ, და წინადადება წამოაყენა განეხილათ საკითხი ლიბლას ქოლის განთავისუფლების და მისთვის პროლის გარეთ პატარა ბინის მიცემის შესახებ იმ პირობით, თუ იგი არ იმუშამდგომლებს თავისი ქმრის სასარგებლოდ. ამავე დროს სლანსკიმ რეკომენდაცია მისცა განეხილათ. ლენკა ნოვაკის საკითხი". (წინანდელი ჩანაწერები. სამწუხაროდ, არ მინახავს, მაგრამ იქნებიანაც, რასაც გეიტყვანი, ცხადია, რომ გადაწყვეტილება ლიბლას დაპატიმრების შესახებ თქვენ მიიღეთ, ბატონო მინისტრო). ამავე გვერდზე 1950 წლის 17 აპრილის მე-5/1 პუნქტით ჩაწერილია: „„დირექტორიის" საქმის გამო პროცესის შესახებ". 1 მაისის ერთი კვირის შემდეგ მოწვეულ სხდომაზე „ბატონშის, შატანას, სტეფანოვას, ბრეის, პეტელიეის, ჩერნის ვვარები.

ენერგიულ სტრიქონებიდან ცხადი ხდება, რომ სასჯელის ზომები მეტისმეტად მაღალი იყო. ეს ეხება ბატონშ მინისტრ პაველ, რომელიც ტელევიზიაში გამოდიოდით, ალბათ თქვენ ერთ-ერთი ხართ, ვინც ეს ბრალი ეკისრებოდა. ეს ეხება ბატონ მინისტრ პაველ, ბატონ ალენ ანონუშიკ, ბატონ ბრეი, ბატონ ჩერნ, ბატონ პეტელიეი, ბატონ ბრეი, ბატონ ბრეი, ბატონ ბრ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲚᲓᲣᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ შედგა განმეორებითი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე მოსკოვის „ტორპედოსა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის.

მატჩი საინტერესო გამოდგა. ანგარიში მე-5 წუთზე შალიმოვმა გახსნა. 6 წუთის შემდეგ კი ფედოტოვმა წონასწორობა აღადგინა. პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:1. მეორე ნახევარში სტრელცოვის მიერ გატანილი ბურთი საბოლოოდ აღმოჩნდა. გაიმარჯვა „ტორპედომ“ 2:1 და მეოთხედფინალში გავიდა.

ამრიგად, მეოთხედფინალში ერომანენთს შეხვდებიან — ტაშკენტის „პახტაკორი“ და ლუგანსკის „ზარია“, კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი და დონეცკის „შახტიორი“, ალმა-ატის „კაირატი“ და ბაქოს „ნეფტჩი“, სვერდლოვსკის „ურალმაში“ და მოსკოვის „ტორპედო“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ დამთავრდა წინასწარი შეხვედრები წყალბურთში პროფკავშირთა პირველობაზე. გამოვლინდნენ ფინალისტები, რომლებმაც უნდა გადითამაშონ საპრიზო ადგილები.

სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ორივე წარმომადგენელი — თბილისის „ლოკომოტივი“ და „ბურევესტნიკი“ ფინალში გავიდნენ. თბილისის ლოკომოტიველებმა უკანასკნელ მატჩში დაამარცხეს კიევის „ვოდნიკი“ 9:3, ხოლო „ბურევესტნიკის“ წყალბურთელებმა — კონასის „ელექტრონისი“ 8:1.

მოსკოვიდან დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა უკანასკნელი შეხვედრა მოიგო ბაქოს „ნეფტიანიკთან“ 12:3. ყურადღებას იპყრობდა ვოლგოგრადის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩი. შოგების შემთხვევაში ვოლგოგრადელები ფინალში გადიოდნენ, შეხვედრა კი ფრედ (3:3) დამთავრდა და „სპარტაკი“ ფინალს მიღმა დარჩა.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ, ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ

ᲢᲐᲜᲛᲝᲒᲐᲠᲯᲘᲨᲕᲔᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ

რამდენიმე დღეა გორკში მიმდინარეობს ტანმოვარჯიშეთა დიდი ასპარეზობა — სსრ კავშირის თასის გათამაშება.

როდესაც ქალთა შეჯიბრება სავალდებულო პროგრამით ამოიწურა, წინ იყო გროზნოს წარმომადგენელი **ლიუდმილა ტურიშჩევა**, რომელმაც 39,2 ქულა შეაგროვა.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევდა მოსკოველი **ზინაიდა ვორონინა** — 39,15 ქულა. მესამე ადგილზე იმყოფებოდა ბელორუსიის წარმომადგენელი **ლარისა პეტროკი**, რომელმაც სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ 38,95 ქულა შეაგროვა.

მაგრამ ეს ყველაფერს როი ნიშნავდა. წინ იყო ნებისმიერი ვარჯიშები. ამ ასპარეზობაში, ბრწყინვალედ გამოვიდა **ზ. ვორონინა**. მის დახვეწილ ვარჯიშს აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებლები. **ზ. ვორონინამ** პირველი ადგილები დაიკავა ბაკენთის ხტომებსა და ნაირსმაღლის ორძელზე ვარჯიშში, აგრეთვე თავისუფალ ვარჯიშში. პირველ ორში მიიღო 9,9 ქულა, ხოლო მესამეში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა. დვირზე ვარჯიშში წარმატება ხვდა **ლ. ბურდას** (ვორონეჟი) — 9,85 ქულა.

მრავალჭიდში წარმატებას მიაღწია **ზ. ვორონინამ**, რომელმაც სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჯამით 78,25 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირის თასი მოიპოვა. **ლ. ბურდა** მეორე ადგილზე აღმოჩნდა — 77,95 ქულა. მესამე ადგილი დაიკავა **ლ. ტურიშჩევამ** — 77,6 ქულა.

გუშინ გორკში ნებისმიერი პროგრამით პაექრობა ჰქონდათ ტანმოვარჯიშე ვაჟებს.

Ტ. ᲥᲚᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სასტენდო სროლაში. მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო მესტენდურები.

პირველ დღეს მოეწყო შეხვედრები პირველ აცდენამდე მრგვალ სტენდზე და სატრანშეო სროლაში. მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **ტ. ულენტი**, რომელმაც 82 სამიზნე დაიზიანა.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲮᲣᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ

ᲡᲐᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ქალაქ იბსში მიმდინარეობს სტუდენტთა მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში. მესამე, მეოთხე და მეხუთე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ისლანდიის გუნდი 3:1, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები 3,5:0,5 და ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკეები 2,5:1,5. ამრიგად, სსრ კავშირის გუნდმა ფინალის ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო და 20 შესაძლებლიდან 15 ქულა აქვს.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამამდა შვიდი ტური. იუგოსლავმა გროსმაისტერმა **იკოვმა** უნგრელ **ლენდიელთან** შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ჩეხოსლოვაკიელმა **კავალეკმა** მოუგო **დონერს** (ჰოლანდია). ორი საბჭოთა გროსმაისტერის **ბრონშტეინისა** და **კოტოვის** პარტიაში გაიმარჯვა პირველმა. **შამკოვიჩისა** და ჰოლანდიელი **კუიპერსის** შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან **იკოვი** და **კავალეკი**, რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება **ბრონშტეინი**.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲐᲒᲘᲗ

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ფოტო Შ. ᲧᲣᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

Შ. Ს. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ

მუდმივად გარდაიცვალა ქართველი მეტალურგთა პირველი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, ... ბლიკის დამსახურებული ... ინჟინერი ტექნიკის მეცნიერებათა ... სკაკ წევრი 1945 წლიდან — ... ᲛᲘᲜᲘᲡ-ძე ფხაკაძე.

შ. ფხაკაძე დაიბადა 1905 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში; საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში, ხოლო უმაღლესი — თბილისში, სადაც 1931 წელს დაამთავრა ა. კ. ინდუსტრიული ინსტიტუტი.

შ. ფხაკაძე იმ პირველ ქართველ მეტალურგთა სასელოვან პლეადას ეკუთვნოდა, რომელმაც პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობითა გაიარა წრთობა და საფუძველი ჩაუყარა ქართული ფეროშენადნობების წარმოების შექმნას, ათვისებასა და განვითარებას. იგი მონაწილეობდა თბილისის საცდელი ფერომანგანუმის ქარხნის დაპროექტებაში და შემდეგ ფერომანგანუმის გამოდნობის ათვისების ყველა სეტის ციდებში, რის ბაზაზეც შემდეგ წარიმართა საქართველოს მეტალურგიის პირმშოს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობა. შ. ფხაკაძის ცხოვრების გზა სახელოვანი გზაა პატიოსანი, სპეტაკი მუშაკისა, რომელიც მთელ სულსა და გულს აჭაოვდა საყვარელ საქმეს — მეტალურგიას.

თავისი შრომითი საქმიანობის უდიდესი ნაწილი მან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაატარა. სხვადასხვა დროს იგი აქ მუშაობდა ცვლის უფროსად, ინჟინერ-მეცნიერად, ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, ამავე განყოფილების უფროსად, ხოლო 1959 წლიდან 1961 წლამდე მთავარ ინჟინრის მოადგილედ. 6 წელზე მეტი (1935-დან 1941 წლამდე) იგი ჩვენი თავდადებით მოღვაწეობდა ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხანაში.

1961 წლიდან გარდაცვალებამდე **საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი; შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა; ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.**

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ, ᲡᲐᲓᲔ ᲒᲡᲣᲠᲡ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝ

ᲪᲔᲜᲢᲠᲝᲡᲞᲘᲣᲖᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ 1968-1969 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲑᲣᲰᲐᲚᲢᲔᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: **ეკონომისტებს, ბუღალტერ-ეკონომისტებს, სამრეწველო საქონლის საქონლმცოდნეებსა და ვაჭრობის ორგანიზატორებს. სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეებსა და ვაჭრობის ორგანიზატორებს.**

ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მუშაკები, რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება ინსტიტუტში არჩეულ სპეციალობას და დადებითად გამოიჩინეს თავი პრაქტიკულ მუშაობაში.

სწავლის ხანგრძლივობაა — 5 წელი.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის გათვალისწინებული პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

ა) ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲰᲐᲚᲢᲔᲠ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ: 1. მათემატიკა (წერა), 2. სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი), 3. გეოგრაფია (ზეპირი), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება),

ბ) ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ: 1. მათემატიკა (წერა), 2. გეოგრაფია (ზეპირი), 3. ქიმია (ზეპირი), 4. ქართული ენა და ლიტერატურა (თხზულება).

ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინებით, მისაღებ გამოცდებს აბარებენ ერთ მაპროფილებელ საგანში: **ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲰᲐᲚᲢᲔᲠᲛ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ** — გეოგრაფიაში, **ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ** ქიმიაში. აღნიშნულ საგანში შეფასება **„ხუთის“ მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი თავისუფლდება დანარჩენი გამოცდების ჩაბარებისაგან.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ მიიღება პირველ აგვისტომდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 5 აგვისტოდან, ჩარიცხვა — 20 სექტემბრამდე.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ შემსვლელმა უნდა შემოიტანოს ინსტიტუტის სპეციალურ ბლანკზე შევსებული განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: **1. საშუალო განათლების დოკუმენტი** (დედანი), **2. ავტობიოგრაფია** (საკუთარი ხელით დაწერილი), **3. სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286), **4. დახასიათება** უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად (ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის ხელმოწერით), **5. ამონაწერი** შრომის წიგნაკიდან, ორგანიზაციის (საწარმოს) ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული, **6. ხუთი ფოტოსურათი** (ფაქუდოდ. 3X4 სმ.), შემოწმებული.

ᲧᲕᲘᲚᲐ საბუთი შედგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე და აბიტურიენტის მიერ პირადობისა და მფლმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელ საბუთთან ერთად პირადად წარმოდგენილი.

მისაღები გამოცდები და სწავლა იწარმოებს მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ მიიღება ყოველდღე (გარდა კვირადღისა) — დღის 10 საათიდან დღის 16 საათამდე.

დამატებითი ცნობებისა და ბლანკებისათვის მიმართეთ თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანატს შემდეგი მისამართით: **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 77, ᲕᲐᲫᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ, 46.**

ტელეფონი 22-57-79.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ № 31 ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1968-1969 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1. რკინიგზის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების მონტიორები, 2. ელმავლის და ელექტრომატარებლების შემკეთებელი ზეინკლები, 3. ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები, 4. კავშირგაბმულობის ქალაქის სატელეფონო ქსელის შემკეთებელი მონტიორები, 5. ზეინკალ შემკეთებელი — (რუსული სექტორი), 6. ავტოშემკეთებელი ზეინკლები), 7. დურგალ-მეავეჯეები, 8. მჭედლები, 9. ელექტრო და აირშედუღებლები.

სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია.

მიიღებიან ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები, რვაკლასდამთავრებულნი, 16-17 წლის ასაკისა.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ: 1. ფოსტა-ტელეგრაფის ოპერატორებს (ჩაირიცხებიან გოგონები), **2. კავშირგაბმულობის ქალაქის სატელეფონო ქსელის შემკეთებელი მონტიორებს** (ჩაირიცხებიან გოგონები), **3. ვაგონგამანიჯველებს, 4. რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მონტიორებს, 5. მექანიკურ სამუშაოთა ამწყობ ზეინკლებს.**

ᲐᲛ ᲡᲐᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ მიიღებიან ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ სკოლის კურსდამთავრებულნი ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები 17-25 წლის ასაკისა, ერთ წლიანი სწავლების ვადით.

ორწლიანი სწავლების ვადით სასწავლებელში ჩარიცხულნი სახელმწიფო ქმაყოფაზე იმყოფებიან (სამჯერადი უფასო კვება, ჩაცმა-დახურვა და კომუნალური მომსახურება).

ერთწლიან სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას, დაადგენილი წესით.

სასწავლებლის ყველა მოსწავლეს აძლევა საწარმოო სწავლებასა და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი. მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან კონკურსგარეშე.

მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: **1. დაბადების მოწმობა** (დედანი), **2. პასპორტი** (ვისაც 16 წელი შეუსრულდა), **3. განათლების ატესტატი** (დედანი), **4. დახასიათება** სკოლიდან ან სამუშაო ადგილიდან, **5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. მიწერის მოწმობა** ან **სამხედრო ბილეთი**, ვისაც ეკუთვნის. **7. ავტობიოგრაფია, 8. ფოტოსურათი** ზომით 3X4, 6 ცალი.

საბუთება მიიღება 1968 წლის 31 აგვისტომდე.

სწავლა დაიწყება 1968 წლის 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ლენინის რაიონი, ოქტომბრის ქ. № 184, ტელ. № 66-45-63, № 99-41-51, დამატება 65-77 ან 61-40, ტრამვაი №№ 6, 11. ავტობუსი № 11, 18, 31, 31-ა. გაჩერება სასწავლებლის წინ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲝ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ 1968-69 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ).

საბიბლიოთეკო განყოფილებაზე მიიღებიან მხოლოდ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, **ხოლო წიგნის საქონელმცოდნეობის განყოფილებაზე**— საშუალო და 8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებულები.

სასწავლებელი კურსდამთავრებულთა ძალევს ბიბლიოთეკარის და წიგნის საქონელმცოდნის სპეციალობას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

არასრული საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი აბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი),
2. მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება),
2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით შემდეგი საბუთების დართვით. 1. განათლების მოწმობა (დედანი) არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ; 2. ავტობიოგრაფია; 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286; 4. სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომა 3X4); 5. ის პირები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი, წარმოადგენენ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო ყოლმეურნეები გამგეობის მიერ დამოწმებულ ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან. სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲣᲐᲠᲘᲠᲐᲗᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ:

1. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრაადოსნები და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები.
2. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ სამხედრო სამსახურში დაუყვეს არანაკლებ ორი წლისა.
3. ის პირები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებების მიღება ა. წ. 10 აგვისტომდე. **მისაღები გამოცდები** — 10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. **სწავლა დაიწყება** 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 3 საათიდან 8 საათამდე.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ — Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ჩაიკოვსკის ქ. № 9. ტელეფონი 99-82-10.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1968-69 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. **საჭმლის მომზადების ტექნოლოგიისა** (I კურსზე)
2. **საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის** (I კურსზე)
3. **საქონელმცოდნეობის და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციისა** (I კურსზე).

პირველ კურსზე მიიღებიან რვაწლიანი განათლების მქონე პირები.

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად. შემდეგ სპეციალობებზე:

1. **საჭმლის მომზადების ტექნოლოგიისა** (III კურსზე),
2. **საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციისა** (III კურსზე).
3. **საქონელმცოდნეობის და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციისა** (III კურსზე),
4. **საბუღალტრო აღრიცხვისა** (III კურსზე).

მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები.

მისაღებ გამოცდებს პირველ კურსზე შემსვლელნი აბარებენ რვაწლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით, ხოლო II და III კურსებზე — საშუალო სკოლის პროგრამით. განცხადებებს მიიღებენ უგამოცდოდ ჩაირიცხება ფრაადოსნების 60 პროცენტი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს:

I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (კარნახი) 2. **მათემატიკაში** (ზეპირი).

III ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. **საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე,** აგრეთვე **საჭმლის მომზადების ტექნოლოგიის** სპეციალობაზე.

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (თხზულება), 2. **ქიმიაში** (ზეპირი).

ᲡᲐᲑᲣᲰᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

III ᲙᲣᲠᲡᲖᲔ

1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში (თხზულება)** 2. **მათემატიკაში** (ზეპირი).

განცხადებების მიღება დაუსწრებელ განყოფილებაზე იწარმოებს 31 იულისამდე, — დღის 10 საათიდან 4 საათამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. დღის განყოფილებაზე განცხადებების მიღება იწარმოებს 10 აგვისტომდე.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲜᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲗ, ᲡᲐᲠᲗᲝ ᲬᲧᲚᲘᲗ ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 24 აგვისტომდე. ჩარიცხვის დროს უპირატესობით სარგებლობენ დაუსწრებელზე შემსვლელი ის პირები, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობის სისტემაში. მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას: **1. დაბადების მოწმობა** (დედანი), **2. ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ** (თხზულება), **3. ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ** (ამონაწერი), **4. ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ** (ᲓᲔᲓᲐᲜᲘ) **5. ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ** (ᲓᲔᲓᲐᲜᲘ), **6. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ** (ᲓᲔᲓᲐᲜᲘ), **7. ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ** (ᲖᲝᲛᲐ 3X4 ᲡᲛ.), **8. ᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ.**

ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ მიღება შეიძლება ინსტიტუტში: **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. № 16.** ტელეფონი 93-12-55.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ